

სასკოლო საბანმანათლებლო სისტემის არაეფექტიანობის და არაეფექტურობის შეფასება



2016

სასკოლო საბანმანათლებლო სისტემის არაეფექტიანობის და არაეფექტურობის შეფასება

პოლიტიკის დოკუმენტი

ავტორი: გიორგი ჭილაძე, ნუკრი ყველაშვილი, ეკა გუგუშვიძე

სარჩევი

შესავალი	3
პრობლემის აღწერა	6
პრობლემის გადაჭრის გზები.....	12
გამოყენებული ლიტერატურა	14

შესავალი

სასკოლო საგანმანათლებლო სისტემა ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედია, სწორედ ამ გარემოში ყალიბდება მოქალაქე. თუმცა, აღნიშნულ სისტემაში არსებული პრობლემები განაპირობებს საქართველოს მოსახლეობის სამოქალაქო თვითშეგნების დაბალ დონეს, დასაქმებისთვის მზაობის უნარების ნაკლებობას, რასაც საბოლოოდ მიყვავართ უმუშევრობის მაღალ დონემდე.

საქართველოს, როგორც ყველა განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანას, სჭირდება განათლებული და უნარიანი მოქალაქეები, რომლებიც ეფექტიანად და ეფექტურად იქნებიან ჩართული ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ყოველივე ამის მისაღწევად კი, სახელმწიფომ უამრავი რამ უნდა გააკეთოს. საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში არსებულ პრობლემებზე დიდი ხანია მიმდინარეობს დებატები. ეს დღესაც დღის წესრიგში დგას – აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება ცდილობს მწვავე საკითხების მოგვარებას ან შემსუბუქებას სხვადასხვა რეფორმის გატარებით და ახალი პროექტების შეთავაზებით. მაგრამ შედეგი მაინც არასახარბიელოა. ამ სფეროში ოდნავ მაინც გათვითცნობიერებული პირები, სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ღიად საუბრობენ არსებულ პრობლემებზე.

კაცობრიობის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული განათლებასთან. თანამედროვე მსოფლიოს წარმატებული ქვეყნები განათლებაზე მილიარდობით დოლარს ხარჯავენ. UNESCO-ს მონაცემებით ეს მაჩვენებელი მთლიანი შიდა პროდუქტის 5%-დან 7%-მდე მერყეობს. აღნიშნული მონაცემი საქართველოსთვის მხოლოდ 2-3%-ს შეადგენს. თუმცა, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან განათლებაზე დახარჯული თანხები საშუალოდ საქართველოს მთლიანი ბიუჯეტის 10%-ია.

დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში და ფინეთში განათლების სფეროს საჭიროებისთვის ბიუჯეტიდან იხარჯება საშუალოდ მისი 12-13%. ყოველივე ეს მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოში, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, კერძო სექტორი და შინამეურნეოები ნაკლებად აბანდებენ თანხებს განათლებაში. მინიმალურია მათი დანახარჯების წილი.

საქართველოში მცხოვრებ პირებს მოთხოვნა აქვთ უფასო განათლებაზე და მუდმივად მოელიან, რომ სახელმწიფომ სრულად უზრუნველყოს საგანმანათლებლო მომსახურება. საქართველოს მოქალაქის ამგვარ აღქმას განაპირობებს საბჭოთა წარსული, რომლის დროსაც საგანმანათლებლო სისტემა სრულად ადმინისტრირდებოდა და კონტროლდებოდა სახელმწიფოს მიერ, და, ამასთანავე, უზრუნველყოფდა კომუნიისტური იდეოლოგიის გავრცელებას და დამკვიდრებას.

დემოკრატიული პროცესების განვითარების ფონზე, საქართველოში ერთ-ერთი მტკივნეული სექტორი სწორედ საგანმანათლებლო სფეროა, რომლის სრულად კონტროლის ცდუნებას ვერ უძლებს თითქმის ვერც ერთი მმართველი პოლიტიკური ძალა. მაგალითად, 2005 წელს, საქართველომ მიიღო კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“,

რომელიც მიზნად ისახავდა ძველი, საბჭოთა სისტემის აღმოფხვრას და დეცენტრალიზებული სისტემის ჩამოყალიბებას, სადაც განათლების სისტემის ერთეულებს ექნებოდათ საშუალება, დამოუკიდებლად მიეღოთ გადაწყვეტილებები. თუმცა, 2009-2010 წლებში კანონში შეტანილმა არსებითმა ცვლილებებმა და დამატებებმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მიღებულმა სხვადასხვა კანონქვემდებარე აქტებმა საგანმანათლებლო სივრცეში მნიშვნელოვნად დააკნინა დემოკრატიული პროცესები. ნორმატიული ძალის მქონე ზემოაღნიშნული აქტების უმრავლესობა დღემდე ძალაშია.

რეფორმების მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო სასკოლო სახელმძღვანელოების კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბება, რომელიც 2010-2011 წლებში ჯერ სახელმძღვანელოებზე ფასების ზედა ზღვრის დაწესებით, შემდეგ კი, 2013 წელს უფასო სახელმძღვანელოების პროექტის განხორციელებით საბოლოოდ დაკნინდა. გამომცემლობებს საერთოდ მოესპოთ ახალი სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალის შემუშავების სტიმული. ყოველივე ეს ხვალ იმ ფაქტის წინაშე დაგვაყენებს, რომ ავტორებსა და გამომცემლებს არ მოუნდებათ ახალი სახელმძღვანელოების შემუშავება და გამოცემა, რაც სასკოლო განათლებას უფრო სავალალო მდგომარეობაში ჩააყენებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა უკავშირდება მასწავლებელთა სერტიფიცირების მუდმივად ცვალებად გარემოს. მასწავლებელთა მომზადება-გადამზადების ცენტრალიზებული სისტემა (რომლის ჩამოყალიბებაც, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 20 ივლისის №714 ბრძანების საფუძველზე დაიწყო) 2014 წლის 29 დეკემბრის №163/ნ ბრძანების მიღების შემდეგ კიდევ უფრო არადემოკრატიული გახდა. „მასწავლებლის საქმიანობის დაწესების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“ კი, ფაქტობრივად, ახდენს სასკოლო დაწესებულების და, რაც მთავარია, მოსწავლის (რომლისთვისაც განკუთვნილია თავად საგანმანათლებლო მომსახურება) ინტერესების სრულ იგნორირებას. შედეგებმაც არ დააყოვნა – 2016 წლის ზაფხულში ჩატარებული გამოცდების მონაცემების მიხედვით, მასწავლებელთა 80%-მა ვერ გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

სასკოლო განათლებას ოთხი ძირითადი მიზანი აქვს. ესენია: ეკონომიკური, კულტურული, სოციალური და პერსონალური მიზანი. ოთხივესთან მჭიდრო კავშირშია უმუშევრობა, რომელიც საქართველოში ერთ-ერთი მთავარი და უმწვავესი პრობლემაა. კერძოდ, დაუსაქმებელია 20-24 წლამდე ასაკის ახალგაზრდების 32%, ხოლო 25-29 წლამდე ასაკის პირებში აღნიშნული მაჩვენებელი 20,7%-ს შეადგენს. სხვადასხვა კვლევა ადასტურებს, რომ საქართველოში უმუშევრობის გამომწვევ ძირითად პრობლემას წარმოადგენს საჭირო უნარ-ჩვევების ნაკლებობა, რაც თავის მხრივ, განპირობებულია საგანმანათლებლო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების არაეფექტური და არაეფექტიანი მუშაობით.

- **პოლიტიკის დოკუმენტის მიზანი:**

სასკოლო საგანმანათლებლო სისტემის არაეფექტიანობის და არაეფექტურობის გამომწვევი მიზეზების შეფასება და პოლიტიკის ფორმირების რეკომენდაციების შემუშავება.

- **ამოცანა**

განალიზდეს და ჩატარდეს გამოკვლევა საქართველოს სასკოლო განათლების სისტემის ხარვეზების გამო არსებული უმუშევრობის პრობლემებზე, მათ გამომწვევ მიზეზებზე და შემოთავაზებული იყოს გადაჭრის გზები.

სასკოლო განათლებაში არსებული ძირითადი პრობლემების მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის დადგენა და რეკომენდაციების მომზადება პოლიტიკის ფორმირებისთვის.

მეთოდოლოგია და შეზღუდვები

- პოლიტიკის დოკუმენტის მთავარი კითხვებია: რა არის სასკოლო საგანმანათლებლო სისტემის დაბალი ეფექტიანობის მიზეზი, რომლის შედეგია ახალგაზრდებში დასაქმებისთვის მზაობის უნარების ნაკლებობა;
- რა წარმოადგენს სასკოლო საგანმანათლებლო სექტორის ყველაზე მთავარ პრობლემას საქართველოში?

კვლევა განხორციელდა შერეული მეთოდით. სავსე კვლევის სახით გამოყენებული იყო ექსპერტული ინტერვიუ, დაკვირვება და ფოკუს ჯგუფებთან მუშაობა, ხოლო კაბინეტური კვლევისას შესწავლილი იყო სფეროსთან დაკავშირებული კვლევები, სხვადასხვა ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები. მასალისა და მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებული იყო კონტენტ, კონტემპორარი და მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი. კვლევა დაეფუძნა ემპირიულ მონაცემებს და ყველა ანალიზის საფუძველი გახდა დიდაქტიკური მიდგომა, რაც სწავლების პროცესის მიზნის, შინაარსის, კანონზომიერებისა და პრინციპების ერთობლიობაა.

კვლევის პირველ ეტაპზე განხორციელდა არსებულ ფოკუს ჯგუფებთან მუშაობა, რის საფუძველზეც მოხდა პრობლემების „აღმოჩენა“, ხოლო ექსპერტული ინტერვიუების საფუძველზე – აღნიშნული პრობლემების ანალიზი და მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის დადგენა.

საკითხი მრავალწახნაგოვანია და შეუძლებელია ერთ პოლიტიკის დოკუმენტში მისი სრულად მოცვა. ამიტომ, აქცენტი გაკეთა მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელიც ყველაზე მწვავედ იკვეთება მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვში.

პრობლემის აღწერა

მასწავლებელთა გამოკითხვით და სასკოლო პროცესებზე დაკვირვებით გამოიკვეთა შემდეგი სახის პრობლემები:

მასწავლებელი, როგორც წესი, გააკვეთილზე იყენებს მხოლოდ ერთ რესურსს – სახელმძღვანელოს, რითაც ფაქტიურად ახდენს საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმის იგნორირებას. არადა, სასწავლო პროცესში სახელმძღვანელო უნდა იყოს ერთ-ერთი და არა ერთადერთი რესურსი. მეორე მხრივ, სახელმძღვანელო დაწერილი და გააზრებულია ავტორის მიერ, ხოლო პედაგოგს ამზადებს მასწავლებელთა ტრენერი, რომელსაც, უმრავლეს შემთხვევაში, არასოდეს ჰქონია შეხება ავტორთან. ტრენერი თავისთავად, მექანიკურად გადასცემს სახელმძღვანელოსა და მასწავლებლის წიგნში არსებულ მასალას მასწავლებელს. პედაგოგთა უმრავლესობა კი ამ მასალას ასევე მექანიკურად გადასცემს მოსწავლეს. ცხადია, რომ ცოდნის გადაცემის ჯაჭვში თანდათანობით სუსტდება და მოსწავლემდე აღწევს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ინფორმაციის მხოლოდ მცირე ნაწილი. ამასთანვე, მასწავლებლის ერთ-ერთი ფუნქცია მოსწავლისთვის სწავლების სწავლებაა. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, პედაგოგი, უმრავლეს შემთხვევაში, მას არ ახორციელებს საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებელი ძირითადად ორიენტირებულია მაღალი მოსწავლის მოსწავლეებზე და ნაკლებად ზრუნავს მოსწავლეთა სხვა კატეგორიაზე, მათ შორის დაბალი მოსწავლის მოსწავლეებზე. ასევე, არასწორი დამოკიდებულებები შეიძინევა ინკლუზიური მოსწავლეების მიმართ. პედაგოგებს ყველა პროგრამაში და დამატებით აქტივობებში ჩართული ჰყავთ მხოლოდ მაღალი მოსწავლის მოსწავლეები, რომლებიც ხშირად უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ძალიან გადატვირთულები არიან, ხოლო დაბალი მოსწავლის მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობებში და პროექტებში ჩართვის შესაძლებლობა საერთოდ არ ეძლევათ. ანუ სკოლა ორიენტირებულია მხოლოდ მაღალი მოსწავლის მოსწავლეებზე. აღნიშნული განპირობებულია ძირითადად ოჯახის ფაქტორით, აგრეთვე, საგანმანათლებლო დაწესებულების მუშაობის დღევანდელი სტილით.

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ შერჩეული სკოლების თითქმის 80%-ში არ ტარდება არჩევითი საგნების ან/და სამოქალაქო განათლების გაკვეთილები (დადასტურებულია მაღალი კლასის მოსწავლეების გამოკითხვით). როგორც წესი, მასწავლებელი კლასში ატარებს მხოლოდ იმ ძირითად საგანს, რომელსაც ასწავლის, მაგალითად გეოგრაფიას, მათემატიკას ან ისტორიას, რაც განაპირობებს იმას, რომ მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერება და სოციალური დამოკიდებულებები დემოკრატიასთან, მოქალაქეობასთან, საბაზრო ეკონომიკასთან არ არის ადეკვატური და არ შეესაბამება საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. ამ საკითხს ყურადღებას არ აქცევს სკოლის ადმინისტრაცია.

სკოლებში გაბერილია მასწავლებელთა და ადმინისტრაციული კადრების რაოდენობა. ხშირია შემთხვევები, როდესაც პირთა მოწვევა ხდება მხოლოდ რამდენიმე საათზე (საათობრივი ანაზღაურების წესით), მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული

საათების შეთავსება საგანთა ჯგუფის პედაგოგების მიერ. აღნიშნული განაპირობებს სახელმწიფო დანახარჯების არაეფექტიანობას, ვინაიდან ყოველ დამატებით პედაგოგზე სახელმწიფო ვალდებულია გამოჰყოს დაზღვევის და სხვა აუცილებელი ხარჯები. ვფიქრობთ, უმჯობესია აღნიშნული სახსრები მიმართული იყოს სხვა სასკოლო რესურსებსა და აქტივობებზე.

მასწავლებლის პროფესიული განათლების ცენტრი ერთდართი სტრუქტურაა სახელმწიფოში, რომელიც ახდენს მასწავლებელთა გადამზადებას. უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამები არ სცილდება უმაღლესი სასწავლებლებლების განათლების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამების დონეს. ამასთან, პროგრამები ძალიან ჰგავს ერთმანეთს როგორც შინაარსობრივად, ისე სტრუქტურულად, თუმცა აქვთ დასახელება. იმის მიუხედავად, რომ ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი ოდენობით სახელმწიფო ფინანსები იხარჯება, ისინი მაინც ვერ გადიან რეალურ შედეგზე. პედაგოგები საუბრობენ იმაზე, რომ ტრენინგებზე თითქმის ვერ იღებენ ახალ ცოდნას. ვფიქრობთ, მასწავლებელთა განვითარება და პედაგოგიური დახელოვნება საჭიროა ხდებოდეს პედაგოგიური კვლევებით და მათი სწავლებით. სამწუხაროდ, ეს საკითხი საერთოდ არ არის გათვალისწინებული ცენტრის მუშაობაში.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე გამოიკვეთა ის ძირითადი პრობლემები, რაც ამჟამად არსებობს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში:

1. სასკოლო განათლების საგნის სტანდარტები შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს;
2. მოსწავლეების საგანმანათლებლო დონე და მოსწრება კლასების ზრდასთან ერთად მცირდება, ანუ ეს ორი პარამეტრი ერთმანეთთან იმყოფება უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში;
3. ძალიან დაბალია მოსწავლის სამოქალაქო ცნობიერების დონე;
4. სკოლის მენეჯმენტი არ შეესაბამება დემოკრატიული მმართველობის საფუძველებს, და, შესაბამისად, სკოლები საბჭოთა დროს დამკვიდრებული მმართველობითი სტილით იმართება;
5. სასკოლო სახელმძღვანელოები არ არის სათანადო დონეზე შედგენილი;
6. საქართველოს საჯარო სკოლები დაკომპლექტებულია არაკვალიფიციური მასწავლებლებით;
7. პედაგოგები გაკვეთილს მხოლოდ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისთვის ატარებენ და მათ არ აინტერესებთ მოსწავლეთა სხვა დანარჩენი კატეგორია;
8. საქართველოში მოსწავლის ზოგადი ცოდნა, უნარები და შესაძლებლობები მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა ქვეყნების მოსწავლეთა ანალოგიურ მაჩვენებლებს.

აღნიშნული პრობლემების მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის საფუძველზე დადგინდა შემდეგი:

მიზეზი	შედეგი
1. სასკოლო განათლების საგნის სტანდარტები შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს;	6. მოსწავლეების საგანმანათლებლო დონე და მოსწრება კლასების ზრდასთან ერთად მცირდება ანუ ეს ორი პარამეტრი ერთმანეთთან იმყოფება უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში;
2. სასკოლო სახელმძღვანელოები ან / და მათი მეთოდური ნაწილი არ არის სათანადო დონეზე შედგენილი;	7. მოსწავლის სამოქალაქო ცნობიერება ძალიან დაბალია;
3. სკოლის მენეჯმენტი არ შეესაბამება დემოკრატიული მმართველობის საფუძვლებს, და შესაბამისად, სკოლები საბჭოთა დროს დამკვიდრებული მმართველობითი სტილით იმართება;	8. საქართველოში მოსწავლის ზოგადი ცოდნა, უნარები და შესაძლებლობები მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა ქვეყნების მოსწავლეთა ანალოგიურ მაჩვენებლებს.
4. საქართველოს საჯარო სკოლები დაკომპლექტებულია არაკვალიფიციური მასწავლებლებით;	
5. პედაგოგი გაკვეთილს მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით ატარებს და ორიენტირებულია მაღალი მოსწრების მოსწავლეებზე, რომელთანაც მუშაობა ბევრად მარტივია.	

ანალიზმა გვიჩვენა, რომ ძირითადად ხუთი მიზეზი არის პრობლემის გამომწვევი, სამი მათგანი კი წარმოადგენს შედეგს, რაც შეიძლება ერთ პრობლემაში გაერთიანდეს: **საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა ვერ უზრუნველყოფს მოსწავლისათვის სათანადო უნარ-ჩვევების გამომუშავებას და ცოდნის მიწოდებას.** აღნიშნულს ადასტურებს წიგნიერების საერთაშორისო კვლევა (PIRLS — Progress in International Reading Literacy Study), რომლის საფუძველზეც მოხარდთა წიგნიერების დონე საქართველოში საშუალოზე დაბალია. მსოფლიოს 45 ქვეყნიდან, საქართველო 37-ე ადგილზეა. სხვა ასაკობრივ ჯგუფებშიც მსგავსი შედეგებია – საქართველო სასკოლო განათლების დონით მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა (მამულაშვილი, 2014).

გამომწვევ პრობლემათა ყველაზე ძლიერი რგოლის დადგენის მიზნით, რომელიც რეალურად „ანგრევს“ საგანმანათლებლო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას, განხორციელდა თითოეული მათგანის შეფასება.

1. სასკოლო განათლების საგნის სტანდარტები შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს;

იმის მიუხედავად, რომ სტანდარტები შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს, აღნიშნული მაინც არ შეიძლება გახდეს ასეთი სავალალო შედეგის მიზეზი (რომ წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში თითქმის ბოლო ადგილზე იყოს საქართველო), ვინაიდან დღეისათვის ინტერნეტის ქსელში განთავსებულია უამრავი თავისუფლად

ხელმისაწვდომი სასწავლო რესურსი, რაც საკმაოდ ეფექტურად შეიძლება გამოიყენოს როგორც მასწავლებელმა, ისე მშობელმა.

2. სასკოლო სახელმძღვანელოები ან/და მათი მეთოდური ნაწილი არ არის სათანადო დონეზე შედგენილი;

სასკოლო სახელმძღვანელოების ხარისხი რეალურად წარმოადგენს პრობლემას, თუმცა არსებობს უამრავი დამხმარე სახელმძღვანელო, მასალა, წიგნი, ჟურნალი, ელექტრონული რესურსი, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია, რომ მუყაითმა პედაგოგმა შეავსოს და გაამრავალფეროვნოს არსებული რესურსები.

3. სკოლის მენეჯმენტი არ შეესაბამება დემოკრატიული მმართველობის საფუძვლებს, და შესაბამისად, სკოლები საბჭოთა დროს დამკვიდრებული მმართველობითი სტილით იმართება;

ამ თეზას ცალსახად ყველა ეთანხმება. ცნობილია, რომ სკოლების დამოუკიდებელ იურიდიულ ერთეულად ჩამოყალიბება 2006 წლიდან განხორციელდა. სკოლებში შეიქმნა დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული სისტემა. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში განმარტებულია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომია – თვითმმართველობის სუბიექტები საჯარო სკოლაში არიან: სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, ასევე სააპელაციო კომიტეტი – ასეთის არსებობის შემთხვევაში. კანონი სკოლის სამეურვეო საბჭოს განმარტავს, როგორც სკოლის თვითმმართველობის უმაღლეს არჩევით ორგანოს. სკოლის სიდიდის გათვალისწინებით მასში თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილი პედაგოგიური საბჭოს და მშობელთა კომიტეტის წევრები (მაგალითად 3 პედაგოგი და 3 მშობელი, ან 6 პედაგოგი და 6 მშობელი), აგრეთვე მოსწავლეთა თვითმმართველობის ერთი წარმომადგენელი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია, მის ტერიტორიაზე არსებულ სკოლაში დანიშნოს სამეურვეო საბჭოს წევრი, თუმცა, თვითმმართველობის ორგანოს არ აქვს არანაირი სტიმული ან მოტივაცია იმისთვის, რომ მიაგლინოს წარმომადგენელი სკოლის სამეურვეო საბჭოში. მიზეზი გახლავთ ის, რომ აღნიშნული პირი რეალურად ვერაფერს გააკეთებს, რადგან კანონი მას მხოლოდ სკოლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ან სკოლიდან გარიცხული მოსწავლის ზედამხედველობაზე ვალდებულებას აკისრებს. ანუ სკოლა თემში ვერ არის ადგილობრივი ინტერესების გამტარებელი. აღნიშნული კანონის მიხედვით მმართველი ორგანო, ერთი შეხედვით, დემოკრატიულ პრინციპებზეა დამყარებული. თუმცა, აღნიშნული სისტემის ეფექტიანად მუშაობას ბევრი სხვა ფაქტორი უშლის ხელს, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ზოგადად სამოქალაქო სექტორისთვის დახურული ადგილია. დღეს ის საქართველოში ბევრად უფრო შეუვალი და დახურულია, ვიდრე საპატიმროები.

ერთ-ერთ არსებით, პრობლემურ საკითხს წარმოადგენს სკოლის დირექტორების მენეჯერული უნარ-ჩვევების თემა. თუ გავითვალისწინებთ საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 13 ნოემბრის N 929 ბრძანებას და მის საფუძველზე დადგენილ საკონკურსო მოთხოვნებს, კანდიდატებს, ძირითადად, მოეთხოვებათ კანონების ცოდნა, მოწმდება კორესპონდენციების წარმოების და მათემატიკური ანალიზის უნარები, მაგრამ არავინ ამოწმებს და არც არავინ სთხოვს სკოლის დირექტორებს იმას, აქვთ თუ არა მათ მენეჯერული ცოდნა და უნარ-ჩვევები. მმართველობითი აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის ძირითადი პრინციპის თანახმად, „რაც მოწმდება, ის იმართება და რაც არ მოწმდება, არ იმართება“. აქედან გამომდინარე, სკოლის დირექტორების უმეტესობას ვერ ექნება მართვის, რაციონალური ანალიზის, დაგეგმვის, თვითმართვისა და დროის მართვის უნარი.

პრობლემა უფრო სიღრმისეულია გასაკუთრებით დიდ კონტინგენტიან სკოლებში, სადაც 120 პედაგოგზე მეტია დასაქმებული. წარმოიდგინეთ ბიზნეს კორპორაცია, რომელსაც ამდენივე ადამიანი ჰყავს დასაქმებული და 1000-ზე მეტ მომხმარებელს ემსახურება ყოველდღიურად. თქვენ, როგორც ორგანიზაციის დამფუძნებელი ან/და მისი მფლობელი, ანდობდით ამ ბიზნესს სამართავად პირს, რომელმაც ელემენტარულ დონეზეც კი არ იცის ბიზნესის ადმინისტრირების საკითხები?! სავარაუდოდ – არა. შესაბამისად, სკოლის დირექტორებს არ აქვთ სასკოლო პროცესის ეფექტურად მართვის უნარი და სისტემაც ვერ იფუნქციონირებს ეფექტურად.

4. საქართველოს საჯარო სკოლებში არიან არაკვალიფიციური მასწავლებლები.

საჯარო სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციას ადასტურებს პედაგოგთა სერტიფიცირების და მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის საფუძველზე წარმოდგენილი შედეგები, რომლის მიხედვით, მასწავლებელთა უმრავლესობა ხასიათდება დაბალი საკვალიფიკაციო მაჩვენებლით.

აღსანიშნავია მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების არაკონკურენტული გარემოც. საგანმანათლებლო რეფორმების დასაწყისში ჩამოყალიბდა საგანმანათლებლო რესურსცენტრები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებაში ჩამოყალიბებულია რესურსცენტრის მიზნები, ფუნქციები და ამოცანები. დეკლარირებულია, რომ მას აქვს სამინისტროს პოლიტიკის განხორციელების ფუნქცია, რომელთა შორისაა დისციპლინაზე კონტროლი, სასწავლო გეგმების დანერგვის ხელშეწყობა, პედაგოგთა მომზადება და გადამზადება.

თავდაპირველად რესურსცენტრებმა ძალიან ეფექტიანად დაიწყეს მუშაობა. ამას თან დაერთო ისიც, რომ პედაგოგთა გადამზადების და მომზადების პროგრამები შემუშავდა სხვადასხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ და ბაზარზე რეალურად დაიწყო კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების პროცესი. თუმცა მოგვიანებით, მასწავლებელთა გადამზადების ფუნქცია მთლიანად გადაეცა მასწავლებელთა სახლს, ხოლო კონტროლის და მონიტორინგის ფუნქცია – მანდატურის სამსახურს, რომლის

ეფექტიანობაც ცალკე კვლევის თემაა. რეალურად, სასკოლო რესურსცენტრები ამჟამად ფუნქციონირებენ მხოლოდ როგორც ინფორმაციის გამტარი და ფინანსების ხარჯვაზე ხედამხედველობის გამწვევი ორგანოები.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა, ცხადია, თავისთავად ხელი ვერ შეუწყო მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას.

თუმცა უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ პრობლემებს არ გააჩნიათ მკვეთრად სისტემური ხასიათი, ვინაიდან პედაგოგი თუ მოტივირებულია და სურს კარგი გაკვეთილის ჩატარება, მას აქვს უამრავი რესურსი, რომელიც განთავსებულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალზე, კერძოდ კი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ-ის, სხვადასხვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ვებ-გვერდებზე, Google-ს და YouTube-ს საძიებო სისტემაში (როგორც კი ჩაწერ შესაბამის ფრაზას, მაშინვე ნახავ სასურველ რესურსს), ანუ ყველაზე მთავარი კომპონენტი პედაგოგის მოტივაცია და საკუთარ თავზე მუშაობის სურვილია.

5. პედაგოგები გაკვეთილს მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით ატარებენ და ორიენტირებულნი არიან მაღალი მოსწრების მოსწავლეებზე, რომელთანაც მუშაობა ბევრად მარტივია.

ეს თემა ძალზე მტკივნეულია, თუმცა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს. 2015 წელს TALIS-ის კვლევის შედეგების მიხედვით (ჩატარდა 35 ქვეყანაში), თვითშეფასების კომპონენტით ქართველი პედაგოგები (რუმინეთის გამოკლებით) უსწრებენ როგორც აღმოსავლეთ ევროპის (ფინეთი და ჰოლანდია), ისე აზიისა და ამერიკის (სინგაპური და კანადა) წარმატებულ სისტემებში მოღვაწე პედაგოგების თვითშეფასებას. ქართველი მასწავლებლები უფრო მომზადებულად გრძნობენ თავს, ვიდრე მასწავლებლები საფრანგეთში, ნორვეგიაში, ჰოლანდიაში, იაპონიასა და მექსიკაში (წიგნივაძე, 2015).

აღსანიშნავია შემდეგი გარემოებებიც: კვლევის თანახმად, საქართველოში ყველაზე მაღალია 60 წლის და უფრო მაღალი ასაკის პედაგოგების წილი, ხოლო ახალგაზრდა პედაგოგების მაჩვენებელი – ყველაზე დაბალი (წიგნივაძე, 2015).

გარდა ამისა, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს სამუშაო ადგილის სტაბილურობის, ანუ ე.წ. „სკოლის უცვლელობის“ კუთხით.

ყოველივე აღნიშნული გვაძლევს შემდეგი დასკვნების საფუძველს: **ქართველმა პედაგოგებმა ძალიან კარგად იციან, თუ როგორ უნდა ასწავლონ**, რადგან მაღალი აქვთ თვითშეფასების მაჩვენებელი. თუმცა, მას პრაქტიკულად არ იყენებენ, რასაც ადასტურებს წიგნიერების საერთაშორისო კვლევა (PIRLS).

ამ ფაქტს ამბავრებს საქართველოში არსებული უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი; ის გარემოებაც, რომ მასწავლებლობა დასაქმების ერთადერთი საშუალებაა

(განსაკუთრებით კი რეგიონებში). ანგარიშგასაწვევი ფაქტორია ის, რომ პედაგოგებს ხელფასის გარდა არ აქვთ სხვა მოტივატორები. ამას ემატება ისიც, რომ მასწავლებლის საქმიანობა არაპრესტიჟულია. თუმცა, ხშირ შემთხვევაში მასწავლებელთა ანაზღაურება აღემატება ბიზნეს სექტორში დასაქმებული ბევრი პირის ხელფასს. მაგალითად, კომერციულ ბანკებში და საკრედიტო ინსტიტუტებში ოპერატორის ხელფასი საშუალოდ 400 ლარია, პედაგოგის საშუალო ხელფასი კი შეადგენს 456 ლარს და დაახლოებით იგივე ოდენობისაა. ამის მიუხედავად ახალგაზრდებს უმეტესწილად არ სურთ მასწავლებლად მუშაობის დაწყება.

ზოგადსაგანმანათლებლო სექტორში ორ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც სფუძველს უყრის ყველა დანარჩენ პრობლემას, წარმოადგენს ის, რომ:

- სკოლის მენეჯმენტი არ შეესაბამება დემოკრატიული მმართველობის საფუძვლებს, და შესაბამისად, სკოლები საბჭოთა დროს დამკვიდრებული მმართველობითი სტილით იმართება;
- პედაგოგები გაკვეთილს მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით ატარებენ და ორიენტირებულნი არიან მაღალი მოსწრების მოსწავლეებზე, რომლებთანაც მუშაობა ბევრად მარტივია.

პრობლემის მოგვარებისთვის საჭირო ღონისძიებების ალტერნატივები:

1. საჭიროა გაიზარდოს საჯარო სკოლების დეცენტრალიზაციის ხარისხი;
2. უნდა მოხდეს მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების პროცესის დეცენტრალიზაცია და ეს საქმიანობა არ უნდა იყოს მხოლოდ მასწავლებელთა სახლის პრეროგატივა, რომლის პროგრამები არ სცილდება უმაღლესი სასწავლებლებების განათლების ფაკულტეტის ბაკალავრიატის პროგრამის ფარგლებს. ამასთანავე, ზემოაღნიშნული პროგრამები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს როგორც სტრუქტურულად, ისე შინაარსობრივად, თუმცა გააჩნიათ სხვადასხვა დასახელება. ისინი ვერ იძლევიან რეალურ შედეგს, იმის მიუხედავად, რომ მათ განხორციელებაზე იხარჯება საკმაოდ დიდი ოდენობით სახელმწიფო ფინანსები;
3. უნდა შეიცვალოს „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“. იგი უნდა გახდეს მოსწავლეზე ორიენტირებული. აღნიშნული შეფასების სქემაში პედაგოგი არ ფასდება მოსწავლის მიერ მიღწეული წარმატების გათვალისწინებით ან / და სკოლაში განხორციელებული საპროექტო ან პროგრამული აქტივობების მიხედვით. ცხადია, რომ ასეთ ვითარებაში ვერც მოსწავლის უნარ-ჩვევები იქნება თანამედროვე დასაქმების ბაზართან თავსებადი;
4. სკოლის დირექტორებისთვის უნდა შეიქმნას და ამუშავდეს შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც შევა ბიზნესის

ადმინისტრირების სამაგისტრო საფეხურზე გასავლელი დისციპლინები; მაგალითად, მენეჯერული ეკონომიკა და მმართველობითი აღრიცხვა. საჭიროა განხორციელდეს არსებული სკოლის დირექტორების გადამზადება;

5. სკოლაში საგაკვეთილო პროცესის ადეკვატურად წარმართვის მიზნით საჭიროა შეიქმნას სამოქალაქო მონიტორინგის სისტემა. მიმდინარე ეტაპზე სამოქალაქო ორგანიზაციები მას ვერ ახორციელებენ იმის გამო, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლაში უსაფრთხო გარემოს შენარჩუნების მოტივით ხელს არ უწყობს სამოქალაქო ორგანიზაციის ჩართულობის პროცესს. აღნიშნული სიტემის ასამუშავებლად საჭიროა ორმხრივი ძალისხმევა – არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან.

მოსალოდნელი შედეგი

- სკოლებში ამჟამად დამკვიდრებული ადმინისტრაციულ-მმართველობითი სტილი პრინციპულად შეიცვლება დემოკრატიული მმართველობის სტილით; მეტი დრო დაეთმობა მოსწავლის დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარებას;
- გააკვეთილის ჩატარების დროს გარე მონიტორინგის სისტემა და კვალიფიციური, ბიზნეს უნარ-ჩვევების მქონე დირექტორი უზრუნველყოფს იმას, რომ მოსწავლეები უფრო მეტად იქნებიან ორიენტირებულნი საგაკვეთილო პროცესზე, ჩაატარებენ გააკვეთილს არა მხოლოდ მაღალი მოსწრების მოსწავლეებზე, არამედ მთლიანად ჯგუფზე გათვლით, რაც საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში შეამცირებს ახალგაზრდებში უმუშევრობის მაჩვენებელს. ამასთან ერთად, ისინი იქნებიან უფრო მაღალი დემოკრატიული და სამოქალაქო ღირებულებების მატარებელი მოქალაქეები.

პოლიტიკის ამგვარი ფორმირებით შესაძლებელია თანხების გამოთავისუფლება და იმავე რესურსით აღნიშნული პოლიტიკის ფორმირება. ხოლო თუ სკოლებში დაშვებული იქნება სამოქალაქო მონიტორინგის სისტემა – ადგილობრივი სამთავრობო ორგანიზაციები და მშობლები საკუთარი რესურსებით (ანუ სახელმწიფოს მხრიდან ნულოვანი დანახარჯით) განახორციელებენ საგაკვეთილო პროცესის მართვას. კარგი იქნება, თუ სკოლის სამეურვეო საბჭოში იქნებიან ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გამოყენებული ლიტერატურა

UNESCO Institute for Statistics. (n.d.). Expenditure on education as % of GDP (from government sources). Retrieved September 1, 2016, from <http://data.uis.unesco.org/?queryid=181>

გურაბანიძე, ლ. (2016, სექტემბერი 1). რატომ ჩაიჭრა გამოცდებზე პედაგოგების 80 პროცენტი. *რეზონანსი*.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი. (2016, აგვისტო 26). *მთლიანი შიდა პროდუქტი*. Retrieved from საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ოფიციალური ვებ-გვერდი: http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo

https://www.osgf.ge/files/publications/2011/EPRC_Georgian_Economic_Outlook_II_Nov_2011_GEO.pdf და <http://forbes.ge/news/960/umuSevrobis-problema>

*1. საქართველოს კანონები:

- ა) საქართველოს კონსტიტუცია;
- ბ) საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;
- გ) საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- დ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- ე) საქართველოს შრომის კოდექსი;

2. საქართველოს მთავრობის დადგენილებები:

- ა) „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილება;
- ბ) „მასწავლებლის პროფესიული მომზადებისა და განვითარების კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 9 თებერვლის N29 დადგენილება;

3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებები

- ა) ”ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2006 წლის 28 სექტემბრის N841 ბრძანება;
- ბ) ”ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანება;
- გ) ”საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ 2006 წლის 17 იანვრის N31 ბრძანება;
- დ) ”საქართველოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის, მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და რეგისტრაციის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ 2006 წლის 17 იანვრის N30 ბრძანება;
- ე) ”საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ 2005 წლის 21 ოქტომბრის N576 ბრძანება;
- ვ) ”ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ვაუჩერის გაცემისა და გადატანის

წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 3 აგვისტოს N730/926 ერთობლივი ბრძანება;

ზ) ”საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის ნორმატივის – ადამიანური რესურსების ნორმატივის განსაზღვრის შესახებ” 2006 წლის 27 ივლისის N727 ბრძანება.

ქსათანადო კრიტერიუმებია: კითხვის, წერის, მათემატიკური წიგნიერების და დემოკრატიული ღირებულებების გაცნობიერება.